

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

სოლიდ ბილდინგი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2020

შპს სოლიდ ბილდინგი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	18,348	21,648	17,978
სხვა გრძელვადიანი აქტივები		450,279	587,037	880,555
სულ გრძელვადიანი აქტივები		468,627	608,685	898,533
				-
მოკლევადიანი აქტივები				
				-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	21,471	476,165	82,952
სავაჭრო მოთხოვნები		79,185	199,803	-
გადახდილი ავანსები		75,490	4,000	-
სხვა მარაგები	9	1,720,960	3,989,457	859,846
სხვა მიმდინარე აქტივები		72,252	282,105	102,774
სულ მიმდინარე აქტივები		1,969,358	4,951,529	1,045,572
მთლიანი აქტივები		2,437,985	5,560,215	1,944,105
მთლიანი კაპიტალი				
კაპიტალი		406,528	276,528	200,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		669,539	(2,655)	(239,443)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		1,076,067	273,873	(39,443)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				

ანარიცხები	80,917	1,678,121	-
გადავადებული შემოსავალი	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	80,917	1,678,121	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	59,596	257,645	37,844
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
მიღებული ავანსები	458,210	1,836,183	366,090
მიღებული სესხები	731,045	1,453,638	1,579,614
საგადასახადო ვალდებულებები	32,150	60,755	-
გადასახდელი პროცენტი	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,281,000	3,608,221	1,983,548
მთლიანი ვალდებულებები	1,361,918	5,286,341	1,983,548
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	2,437,985	5,560,215	1,944,105

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2019	2018
ამონაგები	5	
თვითღირებულება	3,211,311	1,591,946
	(2,241,446)	(1,037,593)
საერთო მოგება	969,865	554,352
სხვა შემოსავლები	169	1,000

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(117,130)	(131,134)
მიწოდების დანახარჯები		(5,504)	(271)
კურსთაშორის სხაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(98,039)	(51,145)
სხვა ხარჯები		(1,440)	(0)
საოპერაციო მოგება		747,920	372,802
ფინანსური შემოსავალი			-
ფინანსური ხარჯი	7	(75,727)	(136,013)
ფინანსური ხარჯი - წმინდა			-
მოგება დაბეგვრამდე		672,194	236,788
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		672,194	236,788
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		672,194	236,788

დირექტორი



რამაზ ჩინჭალაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	200,000	(239,443)	(39,443)
წმინდა მოგება		236,788	236,788
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	306,528		76,528
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(230,000)		(230,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	276,528	(2,655)	273,873

წმინდა მოგება		672,194	672,194
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	200,000		200,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(70,000)		(70,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	406,528	669,539	1,076,067

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	672,194	236,788
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	-	-
გადასახადები	-	-
ცვეთა	-	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
ცვლილება ანარიცხებში	-	-
(შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-
დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1,526,894)	1,486,091
მარაგები	2,268,497	(3,129,611)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	209,853	(223,389)

სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(28,605)	104,813
გადავადებული შემოსავალი	-	-
ანარიცხები	(1,597,203)	1,678,121
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,159)	152,813
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	3,300	(3,670)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	136,758	293,518
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	140,058	289,848
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	130,000	76,528
სასესხო ვალდებულებების ზრდა	(722,593)	(125,976)
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(592,593)	(49,448)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(454,694)	393,213
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	476,165	82,952
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრების და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	21,471	476,165

დირექტორი



რამაზ ჩინჩალაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სოლიდ ბილდინგი (საიდენტიფიკაციო ნომერი 439397298) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, საჩხერე სოფელი ჭალა, ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი სოფელი დიღომი დავარის ქ. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი ოლეგი გიორგაძის მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა-ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი არ კაპიტალიზდება და არ ზრდის აქტივის ღირებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

შენიშვნა 5		
ამონაგები	2019	2018
შემოსავალი		
რეალიზაციიდან	3,211,311	1,591,946
	3,211,311	1,591,946

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს, საცხოვრებელი ბინების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

შენიშვნა 6		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2019	2018
ძრომის ანაზღაურება	87,092	72,969
სოციალური დანარიცხები	7,570	-
ელექტროენერგიის ხარჯი	1,393	-
წყლის ხარჯი	3,035	-
საოფისე ინვენტარი	-	181
კომუნიკაციის ხარჯები	106	271
დაზღვევა	324	-
ტექნიკის რემონტი	8	462
კომპიუტერის ხარჯები	-	26
საკანცელარიო ხარჯი	-	76
ცვეთა და ამორტიზაცია	4,487	4,489

სხვა საგადასახადო ხარჯი	1,005	999
საბანკო ხარჯი	5,654	21,979
იურიდიული ხარჯი	4,855	9,245
მომსახურების სხვა ხარჯი	1,600	130
მერიის ზედამხედველობის ხარჯი	-	20,307
სხვა საერთო ხარჯი	-	-
სულ	117,130	131,134

შენიშვნა 7		
ფინანსური ხარჯი	2019	2018
საპროცენტო ხარჯები	75,727	136,013

შენიშვნა 8
ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	15,347	1,547	1,997	18,891
დამატება	4,480	2,162	1,517	8,159
გასვლა				-
ღირებულება 2019 წლის 01 იანვრისთვის	19,827	3,709	3,514	27,050
დამატება			1,186	1,186
გასვლა				-
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	19,827	3,709	4,700	28,236
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	153	247	513	913
ცვეთა	2,990	739	760	4,489
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	3,143	986	1,273	5,402
ცვეთა	2,988	738	760	4,486
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	6,131	1,724	2,033	9,888
საბალანსო				-
ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	16,684	2,724	2,240	21,648
საბალანსო				-
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	13,696	1,986	2,666	18,348

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

შენიშვნა 9		
მარაგები	2019	2018
ნედლეული და მასალები		
დაუმთავრებელი წარმოება		
შუალედური ანგარიში	-	-
მზა პროდუქცია	1,720,960	3,962,407
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი		27,051
სულ	1,720,960	3,989,458

შენიშვნა 10	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	14,163	8,470
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,293	25,857
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15	441,837
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე		-
სულ	21,471	476,165

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 15 სექტემბერს

დირექტორი

თარიღი: 15.09.2020



რამაზ ჩინჩალაძე